MES 7 23 0000929593

26/07/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 12 ივლისს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გუგუნავა- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ირმა მეგრელიძე
- ნინო ჩომახაშვილი
- მაია თოიძე
- ნანა ვერულაშვილი
- ნინო თამაზაშვილი
- თამილა გრძელიშვილი
- ქეთევან ბოტკოველი
- ალინა კუპრავა
- ვალერი ჯაჯანიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია
აკადემიის დირექტორის მოადგილე- შორენა უზუნაძე
სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი - მზია ბაკურიძე
ადმინისტრაციის უფროსი/ სასწავლო პროცესის მენეჯერი - ინგა შალამბერიძე

შპს თეგეტა აკადემია
დირექტორი - ოთარი სიხარულიძე
სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ერისთავი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის "ფარმაცია (სააფთიქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს “თეგეტა აკადემიაში” განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

პირველი საკითხი: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ირმა მეგრელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წლის 18 მაისს „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ წარმოდგენილ იქნა განაცხადი. განაცხადის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2023 წლის 23 მაისის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით - ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ნინო ჩომახაშვილი - (წევრი). ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განეხორციელებინა ვიზიტი ბათუმში, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში 2023 წლის 1 ივნისს (ბათუმი, ტბეთის ქ. N4ა). აკადემიაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას. 2023 წლის 29 მაისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიუირების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და გადანაწილდა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2023 წლის 1 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი აკადემიაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს (სულ 5 პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული ყველა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს (2 პირი), დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები, პარტნიორი ორგანიზაცია, რის შედეგადაც სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ვიზიტის დროს გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და ასევე, ერთი ზოგადი სახის რეკომენდაცია.

ინდიკატორი 2.1.1. აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას შეისწავლოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა.
ინდიკატორი 2.1.8. რადგან პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლებით, აღნიშნული ჩანაწერი უნდა გვხვდებოდეს პროგრამაში, ასევე, პროგრამას ჰქონდეს დანართი, სადაც ნაჩვენები იქნება გამიჯნული სწავლის შედეგები განხორციელების ადგილის მითითებით.
ინდიკატორი 2.3.1.1. გადაიხედოს დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რადგან რიგი საკითხები დუბლირებულია.
ინდიკატორი 2.4.1.4. გადაიხედოს და ერთ დოკუმენტად შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.
ინდიკატორი 2.4.1.1. დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო გეგმაში ტექნიკური უზუსტობების გასწორება, ასევე, შუალედური შეფასების კვირის გამოყოფა.
ინდიკატორი 2.4.2.1. „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში“ განისაზღვროს თუ რამდენჯერ აქვს სტუდენტს გადაბარების უფლება და შეფასების გაცნობიდან რამდენ ხანში შეუძლია სტუდენტს ისარგებლოს აპელაციის წესით. გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა ტერმინთა განმარტების შესახებ.
ინდიკატორი 2.4.2.2. დაწესებულებამ შეფასების პროცესის ვერიფიკაციაში ჩართოს პროფესიული სტუდენტები.

ზოგადი რეკომენდაცია - დაწესებულებამ გადახედოს არსებულ რეგულაციებს და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები თანამდებობრივი პოზიციების დასახელებებთან დაკავშირებით. შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტების კონსოლიდირებული ვარიანტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კბილის სატექნიკო საქმე“
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 თებერვლის N 01-15 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია'', რის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს შემდეგ ფაქტორებს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი; პროფესიული პროგრამების პრაქტიკის ხანგრძლივობა; ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობა; სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სააწავლო გარემოთი; პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი.

ექსპერტის განცხადებით, A გარემო - განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია : 15 სამუშაო მაგიდა, 15 სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა , კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატები, სიმულაციური ლაბორატორია, შესაბამისი აღჭურვილობით. C გარემო - განკუთვნილია 15

პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია: სამუშაო სატექნიკო მაგიდა/სკამი, ინდივიდუალური განათებით, კარადა ლაბორატორიის ინვენტარისათვის, მიკროძრავები, , ფითხები, ელექტრო ფითხები, თავის ქალას ფანტომი, ყბების ფანტომები, სპირტქურები, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები. სასწავლო გარემოს მოდელი C გარემო - სათაბაშირე და საპოლიმერიზაციო გარემო-აუდიტორია 606 - ფართი შეადგენს 16 კვ.მ-ს განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, სველი წერტილი, ტრიმერის აპარატი, ვიბრომაგიდა, საწნეხი, სანთლის სადნობი, ოკლუდატორები, რეზინის ჯამები თაბაშირის მოსაზელი შპადელებით, ბიგელი, დარიჯები, ელექტროქურა, ელექტრო ჩაიდანი, გამწოვი კარადა, ჩაქუჩი, სამსონის აპარატი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები. სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო აუდიტორია რომელშიც განთავსებულია 22 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ 23 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა და სხვა. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან, კერძოდ: შპს „ტექნიკალგრუპი“, . შპს ,,ლაბორადენტი'', . შპს ,, ევრო დენტი'' . პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 30 სტუდენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება იღებს 15 პროფესიულ სტუდენტს. შესაბამისად, სწავლების მეორე წელს განხორციელდება 15 პროფესიული სტუდენტის მიღება და ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა იქნება საერთო კვოტის - 30 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 85 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, იყო თუ არა საკმარისი ორი C გარემო, რომ სრულად განხორციელებულიყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა ვერ განხორციელდებოდა სრულად დაწესებულებაში, რადგან იყო ისეთი მოდულები, რაც მაღალტექნოლოგიური პროცესების შესრულებას საჭიროებდა. კოლეჯში არსებული C გარემო და კომბინირებული A-C გარემო

სრულად ვერ ფარავდა იმ პროცესების განხორციელებას, რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, ამ მოდულების განხორციელების მიზნებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან (ლაბორატორიებთან). აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, იყო თუ არა დაინტერესება აღნიშნული ლაბორატორიების მხრიდან კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ლაბორატორიების ხელმძღვანელობამ თვითონ გამოთქვა სურვილი, რომ მიეღო კვალიფიციური პირი და დაასაქმონ, ვინაიდან კადრის სიმცირეს განიცდიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, იღებდა თუ არა მონაწილეობას კოლეჯთან ერთად პროგრამის შემუშავებაში ლაბორატორიის წარმომადგენლები.

ექსპერტის განმარტებით, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სწავლის შედეგების განაწილებისა და სასწავლო გეგმების შედგენის ეტაპზე ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში და ერთად განიხილავდნენ თუ რომელი სწავლის შედეგი განხორციელდებოდა მათ ობიექტზე

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ნამდვილად საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებული შეფასებები და რეკომენდაციები იყო გაცემული. რაც შეეხება დამსაქმებლის ჩართულობას, პირველივე დღიდან, როდესაც კოლეჯმა დაიწყო პროგრამაზე ფიქრი, ლაბორატორიებიც ჩაერთო პროცესში და აღნიშნულზე დაწესებულებას ჰქონდა სამუშაო ჯგუფის ოქმებიც. რაც შეეხება სამომავლო მიზნებს, კოლეჯი მომავალში გეგმავს სტომატოლოგის ასისტენტის პროგრამის დამატებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის „კბილის სატექნიკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას (ს/კ: 245419355) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კბილის სატექნიკო საქმის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო თამაზაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 23 მაისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს

დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2 და 2.4, ასევე, მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტების შეფასების მიზნებისათვის პირველ ეტაპზე, ცენტრის ჩართულობით, დაწესებულებიდან დამატებით გამოითხოვა შემდეგი მტკიცებულებები: შევსებული ფორმა ,,საექთნო განათლების“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; შევსებული ფორმა ,,საექთნო განათლების“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ; ,,საექთნო განათლების“ პროგრამის ბიუჯეტი; ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები და/ან მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით; დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი; დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია; ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; დაწესებულებაში მოქმედი პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები; კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ; დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები; ხელშეკრულება ინტერნეტპროვაიდერთან, დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება; საქმისწარმოების წესი; საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. ყველა სხვა მტკიცებულება, რომელიც საჭირო იყო ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების (მეორე და მეხუთე სტანდარტები) კომპონენტების შეფასებისათვის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლა ადგილზე ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა: ადმინისტრაციული წარმოების მიზნებისათვის დაწესებულებაში შესწავლილი იქნა შესაბამისი მექანიზმების რეალურად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლების“ მატერიალური რესურსის შეფასების, ასევე, ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტების შეფასების მიზნით. განხორციელდა ვიზიტი პარტნიორი კომპანიის შპს ,მედცენტრის“ კლინიკის ბაზაზე. შედგა ინტერვიუ აკადემიის დირექტორთან, დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კომპანიის ინსტრუქტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. წარმოების ფარგლებში, ხარვეზი არ გამოვლენილა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები. დაწესებულებამ გამოავლინა მიმღებლობა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. დამატებით აღვნიშნავთ, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 23 ივნისის კორესპონდენციით ექსპერტთა ჯგუფს გადმოეგზავნა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც აკადემია ეთანხმება ექსპერტთა დასკვნის პროექტს და იზიარებს განმავითარებელ რეკომენდაციებს. ამასთან, 5.2.3 (1) ინდიკატორთან მიმართებაში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აკადემიამ გვაცნობა, რომ მან გამოითხოვა შპს ..პროსერვ ჯი“ - სგან ხელშეკრულება და მტკიცებულებად წარმოდგენილია დომეინისა და ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებით შპს ..პროსერვ ჯი“ - თან 2023 წლის 23 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელსაც არ აქვს ნომერი. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობისა და პროგრამის ,,საექთნო განათლება“ მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილების სახით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ვიზიტის დროს გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და ასევე, ერთი ზოგადი სახის რეკომენდაცია. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია - სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ხოლო შეფასების წესში გვხვდება ხარისხის მართვის მენეჯერი. მატერიალური რესურსების განკარგვის წესში შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, თუმცა აღნიშნული პოზიცია არ ფიქსირდება დაწესებულების სტრუქტურაში. შეფასების წესში აღნიშნულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვა და აღრიცხვა ევალება სასწავლო პროცესის მარეგულირებელს, თუმცა აღნიშნული პოზიცია, ასევე, არ ფიქსირდება დაწესებულების სტრუქტურაში. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, ზემოაღნიშნული არის ტექნიკური ხარვეზი. შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს არსებულ რეგულაციებს და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები თანამდებობრივი პოზიციების დასახელებებთან დაკავშირებით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სანიტარულ - ჰიგიენური წესებისა და უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟი“. დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. სდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. აკადემიის

განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან ერთად, ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

ექსპერტის განცხადებით, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია ,,საექთნო განათლების „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქ. ბათუმში შემდეგ მისამართზე - ტბეთის ქუჩა N4. მე - 6 სართული. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 120. პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია - 94, პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს ორი A/C გარემო და ერთი B გარემო. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან. გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა პროგრამის სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. დადასტურებულია სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა,. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროფესიული პროგრამის ,,საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 38 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 7 ზოგადი მოდულები და 31 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. მათი რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებამ წარმოადგინა დატვირთვის ფორმები, რომელის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ვინაიდან დაწესებულებამ შეიცვალა ფართი, აღნიშნულმა ხომ არ გამოიწვია იმ კომპანიების ცვლილება, რომელთანაც დაწესებულებას ჰქონდა დადებული ხელშეკრულება.

ექსპერტის განცხადებით,"საექთნო განათლების" პროგრამის ფარგლებში არ შეცვლილა ის კომპანიები, რომლებთანაც დადებული იყო ხელშეკრულება, ვინაიდან დაწესებულება ამავე მისამართზე ფუნქციონირებდა მე- 3 სართულზე. ფართის ცვლილების ეტაპზე კი დაწესებულებამ გადაინაცვლა იმავე შენობის მე - 6 სართულზე კლინიკური სწავლების განმახორციელებელ ობიექტებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა იხილა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. მისი თქმით, სამედიცინო ცენტრებს ჰქონდათ თავიანთი ბაზა, სადაც ყველა დასაქმებულს კიდევ ერთხელ უკეთებდნენ გადამზადებას სრულიად უსასყიდლოდ და აცნობდნენ ახალ ტექნოლოგიებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, თუ ხელშეკრულებაში არ ეწერა რამდენ სტუდენტს მიიღებდა კლინიკა, როგორ ადასტურებდნენ, რომ ის მოთხოვნილი კვოტა იქნებოდა დაკმაყოფილებული აღნიშნული კლინიკური სწავლების ბაზებით.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული კლინიკა იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, სადაც არ იყო დაზუსტებული კონკრეტული კვოტა, თუ რამდენ სტუდენტზე იყო გათვლილი ხელშეკრულება. დაწესებულებას იქვე მიეცა რეკომენდაცია, რომ ცვლილება განეხორციელებინათ და წარმოედგინათ ისეთი ხელშეკრულება, სადაც დაზუსტებული იქნებოდა კონკრეტულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს მათი პროფესიონალიზმის, კოლეგიალობისა და ვიზიტის მშვიდ გარემოში წარმართვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის (ს/კ: 245419355) "საექთნო განათლების"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 2).**

მესამე საკითხი: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მაია თოიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში ვიზიტის შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 23 მაისის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: მაია - თოიძე (ჯგუფის თავმჯდომარე) და ნანა ვერულაშვილი (წევრი; დარგს ექსპერტი) განახორციელა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდება 2023 წლის 01 ივნისს, ქ. ბათუმში, მისამართზე ტბეთის ქ. №4. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2 და 2.4, ასევე მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტების შეფასების მიზნებისათვის პირველ ეტაპზე გამოითხოვა შემდეგი მტკიცებულებები: შევსებული ფორმა ,,ფარმაციის" (სააფთიაქო) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; შევსებული ფორმა ფორმა ,,ფარმაციის" (სააფთიაქო) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ; ,,ფარმაციის" (სააფთიაქო) პროგრამის ბიუჯეტი; ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები და/ან მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით; დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი; დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი

შენახვისა და გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია; ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; დაწესებულებაში მოქმედი პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები; კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ; დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები; ხელშეკრულება ინტერნეტპროვაიდერთან, დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება; საქმისწარმოების წესი; საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. ყველა სხვა მტკიცებულება, რომელიც საჭირო იყო ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების (მეორე და მეხუთე სტანდარტები) კომპონენტების შეფასებისათვის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლა ადგილზე. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა: ადმინისტრაციული წარმოების მიზნებისათვის დაწესებულებაში შესწავლილი იქნა შესაბამისი მექანიზმების რეალურად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო) მატერიალური რესურსის შეფასების, ასევე, ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტების შეფასების მიზნით.

განხორციელდა ვიზიტი პარტნიორი კომპანიის შპს ,,ჰეკატე“ სააფთიაქო ქსელის ბაზაზე. კერძოდ, ჰეკატე“-ს ქსელის სათავო აფთიაქში (პეტრე მელიქიშვილის ქ. №24). შედგა ინტერვიუ აკადემიის დირექტორთან, დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კომპანიის ინსტრუქტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. წარმოების ფარგლებში, ხარვეზი არ გამოვლენილა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები. დაწესებულებამ გამოავლინა მიმღებლობა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 23 ივნისის კორესპონდენციით ექსპერტთა ჯგუფს გადმოეგზავნა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც აკადემია ეთანხმება ექსპერტთა დასკვნის პროექტს და იზიარებს განმავითარებელ რეკომენდაციებს. ამასთან, 5.2.3 (1) ინდიკატორთან მიმართებაში გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აკადემიამ გვაცნობა, რომ მან გამოითხოვა შპს ..პროსერვ ჯი“ - სგან ხელშეკრულება და მტკიცებულებად წარმოდგენილია დომეინისა და ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებით შპს ..პროსერვ ჯი“ - თან 2023 წლის 23 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელსაც არ აქვს ნომერი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ვიზიტის დროს გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებულია ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნაში და ასევე, ერთი ზოგადი სახის რეკომენდაცია. კერძოდ, დაწესებულებამ გადახედოს არსებულ რეგულაციებს და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები თანამდებობრივი პოზიციების დასახელებებთან დაკავშირებით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის,, დადასტურებულია, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ექსპერტის განმარტებით, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქ. ბათუმში შემდეგ მისამართზე - ტბეთის ქუჩა N4. მე- 6 სართული. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 80 პროფესიული სტუდენტი. პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია - 69 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს ორი A/C გარემო , A სასწავლო გარემო და ერთი B გარემო . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს ,,გეფა“, ,,გოლდ ფარმა“, შპს ,,ჰეკატე“, შპს ,,ბაკურიძე და კომპანია“ . მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა ამგვარად გამოიყურება: ჯამში ხელშეკრულებები და მემორანდუმი გაფორმებულია 116 პროფესიული სტუდენტის სწავლებაზე. ერთ ცვლაში შესაძლებელია 78 პროფესიული სტუდენტის სწავლება. ექსპერტთა მიერ დაწესებულების სასწავლო გარემოთა, მატერიალური და ადამიანური რესურსის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების/მემორანდუმის ანალიზით დადასტურებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ექსპერტთა

შეფასებით, პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, იყო თუ არა მზაობა იმ აფთიაქებისგან, რომლებიც თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, რომ მიეღოთ და დაესაქმებინათ მომავალი სპეციალისტები, რომლებიც აღნიშნული პროგრამით იქნებოდა მომზადებული.

ექსპერტის განმარტებით, რა თქმა უნდა, დაწესებულებას ჰქონდა მზაობა და აღნიშნულ აფთიაქშიც იყო ერთ-ერთი კურსდამთავრებული დასაქმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს მათი პროფესიონალიზმისა, კოლეგიალობისათვის და ვიზიტის მშვიდ გარემოში წარმართვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ„„ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროგრამის ფარგლებში მიმართა ექსპერტს კითხვით, ფართის ცვლილებას ხომ არ გამოუწვევია სასწავლო გეგმის შეცვლა.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პროცესი უმტკივნეულოდ განხორციელდა, ვინაიდან დაწესებულებამ მესამე სართულიდან გადაინაცვლა მეექვსე სართულზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის (ს/კ: 245419355) "ფარმაცია (სააფთიაქო)"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: შპს “თეგეტა აკადემიაში” განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, 2023 წლის 4 მაისის ცენტრის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრები: ალინა კუპრავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; ვალერი ჯაჯანიძე - დარგის ექსპერტი) დაევალა ავტორიზაციის დებულების 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“, „ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის განხორციელება შპს - თეგეტა აკადემიაში (მის: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი N129). ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განხორციელდა 2023 წლის 17, 18 და 19 მაისს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტის ფარგლებში, 1.2.1.3; 1.2.2.1; 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3; 4.1.2.1; 4.2.1.2; 5.1.2.3; 5.2.2.1. ინდიკატორები შეფასდა როგორც არ შეესაბამება, მაგრამ

თეგეტა აკადემიამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, 6 თვიანი, გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს თეგეტა აკადემია პირველი კერძო კოლეჯია, რომელიც „თეგეტა რითეილთან“ თანამშრომლობით, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციით ამზადებს კვალიფიციურ კადრებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთების მიმართულებით და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების 100 % დასაქმებას, როგორც თეგეტა მოტორსში, ასევე, სხვა კომპანიებში.

შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.3. შპს თეგეტა აკადემიამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის კორექტირება პასუხისმგებელი პირების გათვალისწინებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანხვედრაში მოყვანა; სამოქმედო გეგმაში მიზნების, ამოცანების შესაბამისი აქტივობების ფორმულირება და გაზომვადი ინდიკატორების მისადაგება; სტრუქტურული ერთეულების მიხედვით სამუშაო აღწერილობებისა და ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა; სამოქმედო გეგმის შემუშავება დაგეგმილი მეთოდოლოგიის გამოყენებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თანხვედრა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.07.2023 – 29.12.2023 (6 თვე).

1.2.2.1 შპს თეგეტა აკადემიამ უზრუნველყოს 2023 და 2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების როგორც შუალედური, ასევე, საბოლოო ანგარიშის მომზადება, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 30.07.2023 – 30.12.2023 (5 თვე).

4.1.1.1. შპს თეგეტა აკადემიამ უზრუნველყოს აკადემიის სტრუქტურის გადახედვა და სტრატეგიული გეგმით შესასრულებელ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა, სტრუქტურული ერთეულების დებულების, ფუნქციების, უფლება-მოვალეობების გადახედვა, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა და შესაბამისობაში მოყვანა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 10.08.2023 – 30.10.2023 (3 თვე).

4.1.1.2. აკადემიამ უზრუნველყოს კოლეჯში არსებული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად ყველა საქმიანობის, ამოცანების დაფარვა პოზიციების მიხედვით. ასევე კოლეჯის ძირითადი და დამატებითი საქმიანობების გაწერა და სტრუქტურულ ერთეულებთან შესაბამისობაში მოყვანა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.08.2023 – 30.12.2023 (4 თვე).

4.1.1.3. აკადემიამ უზრუნველყოს კოლეჯში მიმდინარე მართვის პროცესების მიმდინარეობის ანალიზი და ანგარიშის მომზადება, ასევე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის

ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა მთლიანი სტრუქტურის კონტექსტში, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 15.08.2023 – 30.11.2023 (3 თვე).

4.1.2.1. აკადემიამ უზრუნველყოს პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანა შიდა მარეგულირებელ აქტებთან და თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი და პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისი დოკუმენტაციის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 01.07.2023 – 01.08.2023 (1 თვე).

4.2.1.2. აკადემიამ უზრუნველყოს, 2023 წლის სამოქმედო გეგმის კორექტირებისას გაითვალისწინოს პერსონალის გადამზადების ღონისძიებები და 2023 წლის ბოლომდე ჩაატაროს პერსონალის საჭიროების კვლევა, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით უზრუნველყოს მათი გადამზადება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში. ასევე უზრუნველყოს პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობაში მოყვანა შიდა მარეგულირებელ აქტებთან და თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი და პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისი დოკუმენტაციის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 30.07.2023 – 30.12.2023 (4 თვე).

5.1.2.3. აკადემიამ უზრუნველყოს, შესაბამის სტრუქტურებთან საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტის მოპოვებასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 02.07.2023 – 30.12.2023 (6 თვე).

5.2.2.1. აკადემიამ უზრუნველყოს, 2021 წლიდან მოყოლებული გამოცემული აქტების (ხელშეკრულებები, განცხადებები, ანგარიშები, ცნობები, მოხსენებითი/ სამსახურეობრივი ბარათები და სხვა) აღრიცხვა საქმისწარმოების დამტკიცებული წესის შესაბამისად, დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 01.07.2023 – 15.09.2023 (2 თვე).

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რამდენადაც მიმართულია შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფისკენ და ამ საქმეში დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობისკენ. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია აკადემიის ხედვაში განსაზღვრული იყოს ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება აპირებს შემუშავებული ხედვის რეალიზებას და ასევე ჩანდეს მისი განვითარების მიმართულება. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია აკადემიის ხედვაში განსაზღვრული იყოს ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება აპირებს შემუშავებული ხედვის რეალიზებას და ასევე ჩანდეს მისი განვითარების მიმართულება. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. ექსპერტთა მოსაზრებით გაზომვადობის კუთხით გადასახედია გეგმებში წარმოდგენილი მიზნების

მიღწევის ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები. შესრულების ინდიკატორებში უნდა ჩაიწეროს ის რაოდენობრივი მაჩვენებლები ან შედეგი, რაც უნდა დადგეს, რომ აქტივობა შესრულებულად ჩაითვალოს. სდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, რამდენადაც დაწესებულება არ ასრულებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას საკუთარი რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში, ქვესტანდარტი ექსპერტთა მხრიდან, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა, როგორც არ არის შესაბამისობაში, თუმცა თეგეტა აკადემიამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №0459 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 6 თვიანი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა (5000 ლ), დადასტურების წყარო, შესრულების ინდიკატორები. რისკები განისაზღვრა %-ით. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი აღნიშნული ხარვეზები. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ექსპერტის განცხადებით, აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, ხოლო წესის შესწავლით დასტურდება, რომ ის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის შემუშავებული და საჭიროების შემთხვევაში აკადემია შეძლებს განახორციელოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავება შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

მატერიალური საინფორმაციო და ფინანსური რესურსი

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო და პრაქტიკის გარემოებით. A და AC გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების 15-15 მაგიდით და სკამით, დაფით, პროექტორებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. AC გარემო აღჭურვილია ასევე ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით, ინტერნეტ მონიტორით prestigio multiboard 70". B გარემო, რომელშიც განთავსებულია 15 +1 ლეპტოპი (პროფესიული მასწავლებლისთვის) და დამონტაჟებულია პროექტორი განკუთვნილია ასევე 15 პროფესიული სტუდენტისათვის. მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტთათვის რეკრეაციული სივრცედ გამოყოფილია სასადილო ოთახი, ადმინისტრაციის ოთახში განთავსებულია 10 მაგიდა, 10 კომპიუტერი 1 შავ-თეთრი და 1 ფერადი ქსეროქსის აპარატი. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ აკადემიის მატერიალური ფასეულობები იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. თეორიული სწავლებები მიმდინარეობს კომფორტულ აუდიტორიებში. აკადემიის მფლობელობაში არსებული ფართი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, თითოეულ აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორი. უსადენო ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია აკადემიის მთელ

ტერიტორიაზე. აკადემიის პერსონალი და პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, ბიბლიოთეკით, რეკრეაციული სივრცით, ასევე დასტურდება, რომ აკადემიაში, მათ შორის სველ წერტილებში სრულად არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. შესასვლელში და ყველა სივრცეში განთავსებულია სანიტაიზერები, ჰიგიენური საშუალებები. 6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის და არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგად დადასტურდა აკადემიაში შიდა მექანიზმების არსებობა, რაც მიმართულია მატერიალური რესურსის განვითარება-შენარჩუნებაზე და რისთვისაც სხვა მექანიზმებთან ერთად, შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკადემიის მატერიალური რესურსების დაზიანების ფაქტის დადგენისას კონკრეტული პირის დისციპლინური წარმოების შედეგების მიხედვით, შესაძლოა კონკრეტულ პირს მოეთხოვოს აკადემიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვა. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია არა მხოლოდ აკადემიის შესახებ არამედ აკადემიის ფარგლებში არსებულ სატრენინგო ცენტრის შესახებ, რომლის გამიჯვნა როგორც სიახლეების ველში, ასევე წარმატების ველში სირთულეს წარმოადგენს, ხოლო ვიდეო გალერეაში წარმოდგენილია მხოლოდ სატრენინგო ცენტრის მიერ ჩატარებული პროექტები. ამ თემასთან დაკავშირებით აკადემიას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია: გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გამიჯნოს აკადემიის და სატრენინგო ცენტრის ველები ერთმანეთისგან, ასევე სიახლეების ველში განთავსებულია სულ 4 ნიუსი, არცერთ მათგანს არ აქვს მითითებული გამოქვეყნების თარიღი, ვინაიდან კოლეჯის ვებ-გვერდი საკომუნიკაციო ფუნქციასთან ერთად უნდა ასრულებდეს საინფორმაციო ფუნქციას, სასურველია, შესაბამისი ინფორმაცია განთავსდეს გონივრულ ვადებში, თარიღის მითითებით. სამედიცინო მომსახურებისთვის - თეგეტა აკადემიაში სტუდენტთათვის ფუნქციონირებს სპეციალურად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი სადაც პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება სპეციალურად მოწყობილ სივრცეში ასევე პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. აღნიშნული სერვისი ემსახურება სტუდენტთა და პერსონალის ჯანმრთელობას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, ასევე საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს შშმ/სსსმ პირებს. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შპს ,,თეგეტა აკადემია" - ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" ხორციელდება დუალური მიდგომით, რაც თავისთავად მოითხოვს აკადემიის საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის მზაობას გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორები, შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა. აკადემიის ბაზაზე წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლება, რისთვისაც დაწესებულების საკუთრებაში არსებობს ზღვრული ოდენობის შესაბამისი A , B და C გარემო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის შესაბამის დონეზე წარმართვისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გარემო მხოლოდ მოცემულ პროფესიულ პროგრამას ემსახურება და არაა დატვირთული სხვა სალექციო პროცესით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ „თეგეტა მოტორსი" თვითონ ახორციელებდა მათ გადამზადებას, თუმცა აღნიშნული საკითხი არ იყო წარმოდგენილი დაწესებულების სამოქმედო გეგმაში. ვინაიდან ადამიანური რესურსების განვითარება დაწესებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, საჭიროა აღნიშნულის ასახვა დაწესებულების სამოქმედო გეგმაში, მიუხედავად იმისა, რომ ცხადია, დაწესებულებაში რეალურად აღნიშნული პროცესები მიმდინარეობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს დუალური პროგრამის ფარგლებში, შეეფასებინა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ჭრილში ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდების შინაარსობრივი მხარე.
დარგის ექსპერტის განმარტებით, საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი მხარე აბსოლუტურად მოიცავდა ძირითადი სწავლის შედეგებს, რაც განსაზღვრული იყო როგორც

პროგრამით, ასევე ,კონკრეტული მოდულებით, შესაბამისობაში მოდიოდა შეფასების მიმართულებასთან და მტკიცებულებებიც შესაბამისი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციებს და ხარვეზებს ბოლომდე ეთანხმებოდნენ, რაც სამომავლოდ იქნებოდა გამოსწორებული. მისი თქმით, მომავალი განვითარების მიმართ დაწესებულება პოზიტიურად იყო განწყობილი იმიტომ, რომ ჰქონდა დიდი ამბიციები ამ მიმართულებით. დაფიქსირებულ ხარვეზებს კოლეჯი გააანალიზებდა და გამოასწორებდა. რაც შეეხება ძირითად მიზეზებს აღნიშნული ხარვეზებისა, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო სტრუქტურული ცვლილებები, დაწესებულებაში მოხდა ახალი კადრების აყვანა. დაწესებულებას გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია უკვე შესრულებული ჰქონდა, მაგალითად, ნასამართლეობის ცნობის შესახებ, ასევე, ვებგვერდზე სიახლეების ნაწილი გამარტივდა და დათარიღდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობდა კატალოგებზე მუშაობა და ასევე, გაიმართა ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტებს კითხვით, ხომ არ მიუქცევიათ ყურადღება, რამდენი ხანი ფუნქციონირებდა კოლეჯი და იყო თუ არა დაწესებულების განვითარების გეგმაში პროგრამების გაფართოების შესახებ ინფორმაცია მოცემული.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების ახალი ადმინისტრაცია 6 თვეა, რაც სათავეში იყო, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ძალიან მოტივირებული იყო, მიუხედავად ამდენი ხარვეზისა, რაც აკადემიაში გამოვლინდა. რაც შეეხება პროგრამის განვითარებას, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი ჰქონდათ სტრატეგია.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლმა, ქეთევან ციხისელმა, გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ შპს „თეგეტა აკადემიას“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის N04 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება ქ. თბილისის მისამართზე. 2019 წელს შპს “თეგეტა აკადემიის” მოთხოვნის საფუძველზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის N179 გადაწყვეტილებით დადგენილი კვოტის ფარგლებში, ბათუმის მისამართზე საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას მიენიჭა უფლება განეხორციელებინა შემდეგი პროგრამები: „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავის შეკეთება“, „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, თუმცა, 2023 წელს, როდესაც განათლების ხარისხის ცენტრმა დაიწყო გეგმიური მონიტორინგის წარმოება შპს “თეგეტა აკადემიის” მიმართ, კოლეჯმა მოგვმართა წერილით, რომელშიც აფიქსირებს, რომ ბათუმის მისამართზე, 2020 წლის პანდემიასთან დაკავშირებული სტაგნაციიდან, სისტემის დონეზე სწავლის პროცესების შეწყვეტასთან დაკავშირებული გაურკვევლობიდან გამომდინარე, აპლიკანტები ვერ რეგისტრირდებოდნენ და ვერ დგებოდა ჯგუფები, შესაბამისად, ბათუმის ლოკაციაზე ადამიანური რესურსზე ხელფასის გაცემა საფუძველს მოკლებული იყო და არამიზნობრივ ხარჯად აწვა კოლეჯს. იმ დროინდელი მენეჯმენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ბათუმში კოლეჯის გამართული

ფუნქციონირებისთვის აყვანილ პერსონალთან, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყდა შრომითი ურთიერთობა; ბათუმის მისამართზე ავტორიზაციის მოპოვებიდან დღემდე სასწავლო პროცესი არ განხორციელებულა. 2022 წლის ბოლოს, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, განხორციელდა სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და ბათუმთან მიმართებაში, სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრული და დაგეგმილი ამოცანების 50%-ის შეუსრულებლობის გამო, შპს „თეგეტა აკადემიის“ მენეჯმენტის მხრიდან დადგა ბათუმის მისამართზე კოლეჯის ფუნქციონირების გადახედვის საკითხი, რასაც მოჰყვა მენეჯმენტის გადაწყვეტილება, ბათუმის მისამართზე პროგრამების გაუქმებასთან დაკავშირებით.

ცენტრი შუამდგომლობს საბჭოს წინაშე ბათუმის მისამართზე პროგრამების ფუნქციონირების შეწყვეტის მოთხოვნით და ამ მიზნით ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების გადახედვას და რესურსების გათვალისწინებით, კვოტის ხელახალ განსაზღვრას მხოლოდ თბილისის მისამართზე ფუნქციონირებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აღნიშნული სამი პროგრამის განხორციელებას აღარ აპირებდა ბათუმის ლოკაციაზე, თუმცა სამომავლოდ კოლეჯს განვითარების გეგმაში სურდა ბათუმის ლოკაციაზე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება. შესაბამისად, დაწყებული ჰქონდათ პროფესიული უნარების სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობა USAID - ის პროგრამის ფარგლებში და დაახლოებით 6 პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორცილებას გეგმავდნენ, რომელთაგან 3 ბათუმის ლოკაციაზე იქნებოდა განხორციელებული.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა განხილვის შედეგები და განცხადა, რომ განხორციელებული მონიტორინგი თავისი არსით რეალურად რეავტორიზაციას წარმოადგენდა. ექსპერტების დასკვნამ კარგად აჩვენა გარკვეული დისბალანსი დაწესებულებაში მიმდინარე რეალურ პროცესებსა და მათ მარეგულირებელ დოკუმენტაციას შორის. მისი თქმით, ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მიმართ, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესს ანუ ძირითად პროცესს, ექსპერტების მიერ არანაირი შენიშვნა არ დაფიქსირებულა, თუმცა დანარჩენ სტანდარტების შემოწმებისას, კერძოდ პირველ, მეოთხე და მეხუთე, გამოვლინდა უფრო შეუსაბამობები. ერთ მხრივ, გასაგები იყო, რომ ახალი გუნდი, რომელზეც დიდი იმედები მყარდებოდა, შეძლებდა ხარვეზების გამოსწორებას, მეორე მხრივ, ხომ არ იყო ეს მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებაში არ იყო საკმარისი ადმინისტრაციული რესურსი იმისათვის, რომ წარემართათ ეს პროცესები. როდესაც დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი პროგრამა . შესაძლოა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ არ არის დიდი რაოდენობის ადმინისტრაციული რესურსის საჭიროება. მისი განცხადებით, სტანდარტების მოთხოვნები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მოითხოვდა ცალკეულ სპეციალისტებს. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს, ხომ არ უნდა იფიქროს დაწესებულებამ კადრების დამატებაზე აღნიშნული მიმართულებით.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას საკმარისი ადმინისტრაციული რესურსი გააჩნია პროცესების წარმართვისთვის, კერძოდ 15 ადამიანი იყო თუნდაც დირექციის ნაწილში, თუმცა ვფიქრობთ, რომ განხორციელებულმა ცვლილებამ გამოიწვია სტრუქტურის შეცვლა, გაჩნდა ახალი ჩანაწერები და არ მოხდა მისი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ასახვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და „შპს თეგეტა აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების

შეწყვეტის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის N179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თეგეტა აკადემიაში(ს/კ:405237122) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება „შპს თეგეტა აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის N179 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 4).**

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს თეგეტა აკადემიაში 1.2, 4.1, 4.2 და 5.1, 5.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 დეკემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კბილის სატექნიკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, ტბეთის ქ. N4 (მე-6 სართული)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ტბეთის ქუჩა N4 (მე- 6 სართული)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. No4 (მე-6 სართული)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	სავალი ნაწილების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №129
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

პროგრამის სახელწოდება	ძრავის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №129
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №129
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97